სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთა ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართონ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—9 მ. „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.;
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკო თომას ძე
ერისთავი
ერთი თვით შეაჩერა თვის ბინაზე ავადმყოფების მიღება, რადგან დროებით მოსკოვში არის.
(5—5)

ახალი წიგნები
მოლიპულ გზაზე
მოთხრობა ანასტასია ე[illegible]ავი
ფასი ერთი მანათი.
მწარე ფიქრები
ლექსები დუტუ მეგრელისა, ფასი ერთი აბაზი.
ვინც ათზე მეტ ცალს დაიბარებს წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან 20% დაეთმობა.
(10—9)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** ქადაგება ქართულს ენაზე. დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში იქადაგებს ქართულს ენაზე ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილ. ფერაძე მოსეს სჯულის მეექვსე მცნების შესახებ. მწუხრის ლოცვის გათავების შემდეგ, რომელიც დაიწყება ნაშუადღევის 4½ საათზე.

*** მცხეთის-მცხეთი ნაშთის გზის გაკეთება. მცხეთის სადგურის პირდაპირ, ერთს მაღალ მთაზე დღევანდლამდის შეურყევლად სდგას პატარა საყდარი, რომელ საყდარსაც ძველის გარდმოცემით წმინდა ნინოს სალოცავს უხმობენ. ეს საყდარი მეტათ ძვირფას მთაზე სდგას, სწორეთ ამ მთაზე უსადგურია წმ. ნინოს. ამ მთის ახლოს არის არმაზის მთა, სადაც აღმართულია კერპთ-თაყვანის საცემელ ციხე-კოშკნი, რომლის მახლობლათაც ესვენენ ქართველთა ღმერთნი: არმაზი, კაცი, გაიმი და ზადენი. ამ ნაშთთა ახლოს დაუზნელდა მირიან მეფეს თვალები. გზა უვალი, ქალაქ უტეხი და უხდელი არამც თუ მაშინ, არამედ დღესაც ისევეა. დღესაც გაუძნელდება იქ კაცს პირდაპირ მისვლა.

ხსენებულ საყდრის ახლოს სდგას ის ძველის-ძველი ურიათა სოფ. კარსნა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშიაც“ არის აღწერილი. აქამდის, ამ ძველ კერპთა სადგურამდის, კაცი რაც უნდა მსუბუქი ყოფილიყო, ადვილათ ვერ მიაღწევდა. წელს კი, ზაფხულში დიდათ უმეცადინია ბ-ნ იაგორ ჯაყელს და ოთხის თავის თანამსახურებით, ბ-ნი ე. ჩხარტიშვილის „არმაზიდან“ ზემოთ ხსენებულს წმ. ნინოს საყდრამდე, მშვენიერი ბილიკი აუყვანიათ, ეს ბილიკი მეტათ დიდი მანძილისა არის, სიმაღლით, ხუთი ვერსი მეტი იქმნება, კაცი ჰკვირდება მის ხილვას, როცა ზედ ადის და მიემართება ზემოთხსენებული ნიშთისაკენ.

დღეის შემდეგ ვისაც კი სურს არმაზის ნაშთთა ხილვა, იმას ადვილათ შეეძლება ამ გზით ასვლა და ხილვა მისი, რასაც ჩვენს ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს. ამიტომ მეტათ საქებათ და სამაგალითოდ მიგვაჩნია ზემოხსენებულ ბ-ნ იაგორ ჯაყელის დაუღალავი შრომა და ჩვენ ძველთ მამა-პაპათა ნაშთთა სიყვარული.

*** თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ხსენებულის მაზრის წინამძღოლმა გენერალ-მაიორმა თავ. ე. მაყაშვილმა თავისი თხოვნით სამსახურს თავი გაანება. ამ თანამდებობას გუბერნიის მარშლის განკარგულებით შეასრულებს თავ. მაყაშვილის კანდიდატი თავ. ი. ქობულოვი.

*** აბრეშუმის თესლის შემოწმება. წელს, როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, აუარებელი აბრეშუმის გრენი (თესლი) შემოუტანიათ უცხოეთიდან. ამ ჟამად ტფილისის საბრეშუმო სადგურმა წარდგენილი შესამოწმებლად 37,000 ფუთი. სხვა და სხვა ფირმის გრენი, სულ 222,000 მისხალი. რამოდენიმე ფირმის გრენი უკვე გაუსინჯავს სადგურის თითოეული შემოწმებული კოლოფი ამ ჟამად ტფილისში ისყიდება 1 მ. 30 კ.—2 მ. 50 კაპეიკამდე.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის განკარგულებით ტფილისსა, მანგლისა და ალბულაღს შუა ფოსტა ივლის კვირაში სამჯერ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია დაიწყო 26 ნოემბერს, საქმეების გარჩევა ქ. სიღნაღში, სადაც დარჩება 4 დეკემბრამდისინ. აქედან სესია წავა ქ. თელავში საქმეების განსახილველად.

*** ახალი კომისია. ის კომისია, რომელსაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან მინდობილი აქვს შეიმუშაოს ტფილისში 1901 წლისათვის გასამართავ სამეურნეო სამრეწველო გამოფენის პროგრამმა, უკვე შეუდგა მუშაობას.

*** საჯარო ვაჭრობის დარბაზი. ქალაქის მოურავმა და გამგეობის წევრთ შესტაკოვმა, თავ. ზერქეზიშვილმა და თავ. არღუთინსკიმ 24 ნოემბერს დაათვალიერეს ის სახლები, რომლებშიაც განზრახული იყო ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გამართვა, მაგრამ ყველა ეს სახლები მათ უვარგისად იცნეს ხსენებულ დაწესებულებისათვის.

*** პოლიცმეისტერის განკარგულება. ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ კვირა დღეებში ვაჭრობა არსად სწარმოებდეს და დამნაშავენი პასუხის-გებაში იქმნან მიცემულნიო.

*** ტფილისის საბჭო. ორშაბათს, 29 ნოემბერს, საბჭოს ჩვეულებრივს კრებაზედ, ძველთა საქმეთა გარდა, განსახილველად დანიშნულია კიდევ შემდეგი საქმეები: ბ-ნ გუბერნატორის წინადადება, რომელიც უსახელო, საზოგადოებასთან ცხენის რკინის გზის გამო დასადებ ხელშეკრულობის წარდგენას შეეხება; ქ. ტფილისის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1900 წლისათვის; ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადება ვერასა და დიდუბეს შუა გაყვანილ ბორნის ნიხრის დამტკიცების შესახებ და სხვანი.

*** ნატახტარის წყლებზედ. ამ დღეებში ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის მმართველი ბ-ნი ალიბეგოვი და მკურნალ დეზინფექტორი ბ-ნი რაზამატი სოფ. ნატახტარში გაემგზავრებიან იქაურ წყაროების წყლის წამოსაღებად და გამოსაკვლევად.

*** ადმინისტრაციის წინადადება. ქალაქის გამგეობა, საგუბერნიო ადმინისტრაციის წინადადების გამო, ოფიციალურად შეეკითხა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნს რობის: თანახმა არის თუ არა საზოგადოება იკისროს ცხენის რკინის გზის წარმოება იმ პირობებით, რომელნიც მარშან წარმოადგინა საზოგადოებამო. ამ [illegible]ისათვის გამგეობამ ბ-ნს რობის [illegible] დღის ვადა დაუდო.

## სასამართლოს მატიანე

1) გებუაძეების საქმე.

15 დეკემბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საყურადღებო საქმე გაბო გებუაძის, ელისაბედ გებუაძის და გიორგი ზახაროვისა, რომელთაც ჰბრალდებათ იარაღის გაკეთება ვერცხლის ფულის მოსაჭრელად და ფულის მოჭრა.

—

2) ფავლენიშვილების საქმე.

2 მომავალს დეკემბერისათვის დანიშნული იყო სამოსამართლო პალატაში ილია და ისიკო ფავლენიშვილების საქმე, რომელთაც ბრალდებათ თავისი სახლიკაცის საქმე ს. ერედვში, (გორის მაზრა). ეს საქმე ახალის განკარგულებით, გაირჩევა 30 ამ თვეს. დამნაშავეთ დაიცავს ნაფიცი ვექილი დ. ზ. ტერ-სტეფანოვი.

## სახალხო ჰიგიენა

—

საჭმლის გაფრთხილება. ფეხმძიმე დედაკაცს წესიერება ხომ ყოველისფერში ჰმართებს, განსაკუთრებით ჭამა-სმაში, მით უფრო რომ ფეხმძიმე დედაკაცი ხშირად უცნაურის და ჭირვეულის გემოვნებით და მადით არის გამსჭვალული. რაც უფრო კაშასი და ფიცხის აგებულებისაა ქალი, მით უფრო გრილი და მსუბუქი საჭმელი მოუხდება, ხოლო რაც უფრო ჯანსაღია ქალი, მით უფრო უბრალო, მაგარი და თბილი საჭმელი არგებს. განთავისუფლების შემდეგ სრულებით სხვა ნაირი საჭმელი ეჭირვება. ამ შემთხვევაში აუცილებელია მეტად მსუბუქი და წვნიანი საჭმელი, სასმელიც რბილი, მაგალითად, წყალდარევი ღვინო და ბაცი ჩაი, ხან ყავაც მარგებელია და სასარგებლოც.

საზოგადოდ ჭამა-სმაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დროს — ზამთარს და ზაფხულს, ადამიანის აგებულებას (ტემპერამენტს), საქმეს, რომელშიაც გართულია კაცი და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში გაარჩიეს გონიერი კაცი ყოველთვის ზომიერად და წესიერად უნდა იქცეოდეს. მორიდება უნდა აგრეთვე ერთგვარ გამუდმებულ საჭმელს. ერთგვარობა არამც თუ საჭმელში, არამედ სხვაფრივაც მავნებელია. რაც საჭმელი უფრო სხვა და სხვაფერდება მით უმჯობესია.

წყალიც ერთი უპირველესი საქმეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. კარგი ახალი და წმინდა წყალი ... რომელსაც არავითარი ფერი და სუ... არა აქვს და იმავე დროს ცივიც, ... გრილებელი და წმინდა უნდა იყოს და მალე არ გრილდებოდეს. წყლის დალევა იმდენი უნდა, რამდენსაც კაცის ბუნება მოითხოვს: არც მეტი და არც ნაკლები.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის ორ საათზედ პეტერბურგში მობრძანდნენ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. 3 საათზედ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი პეტრე-პავლეს ეკლესიაში საბრძანდნენ, სადაც პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

**მოსკოვი.** აწ გარდაცვალებულს მედვედნიკოვისას საქველმოქმედო საქმისთვის ანდერძით დაუტოვებია 5 მილიონი მანეთი; აქედგან 2 მილიონი მოსკოვს უანდერძა, 50,000—მოსკოვის უნივერსიტეტს სტიპენდიებისთვის და 600,000 ქალაქ ირკუტსკს.

**კიმბერლეი.** როგორც სჩანს, სპეიტფონტენთან საქმე დიდ ბრძოლამდე მივა. ბურები იქ გორაკებზედ იკრიბებიან და ადგილებს ამაგრებენ.

**ლონდონი.** ცხენოსანთა არტილერიის ორმა ბატარეამ ბრძანება მიიღო 27 ნოემბერს კაპის ახალშენში წავიდნენ.

**კიმბერლეი.** ერთი რაზმი, მაიორის სკოტ-ტურნერის უფროსობით, გათენებისას ლაზარეტტოს გორაკს მიადგა და დაიცა იქ მძინარე დარაჯებს ბურებისას, მაგრამ იძულებული გახდა უკანვე დახეულიყო, რადგანაც ვერ გამაგრდა.

**კიმბერლეი.** ინგლისის რაზმი ხელ-ახლა გამოვიდა ქალაქიდგან, რათა ლაზარეტტოზედ ბურების ზარბაზანი ხელთ ჩაეგდო. მათ აიღეს მოწინააღმდეგის ბანაკი და ... სიმაგრე, მაგრამ მეხუთეზედ ბურებმა ... დაუშინეს და ინგლისელნი უკანვე დაიწიეს. მოკლულ იქმნა სკოტ-ტურნერი და 24 კაცი, დაჭრილია 26 კაცი. ინგლისელთ ხელთ მრავალი სურსათი ჩაიგდეს.

**ბერლინი.** დუბლინიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ გამოქვეყნებულია ირლანდიელის პეტრიკფორდის მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის იმპერია მალე აფეთქებული იქნება დინამიტით ან ლიდდიტით. ირლანდიელნი კრებებზედ ბურებს უცხადებენ თანაგრძნობას.

**ფრერი.** როგორც ისმის, 6000 ბურმა თავი გაანებეს იმ ბურებს, რომელნიც ლედი-სმიტს არტყმიან.

**ლონდონი.** როგორც კაპშტადტიდგან იუწყებიან, ბურებმა 5 ნოემბერს დაიჭირეს და თავიანთ რესპუბლიკას შეუერთეს გრეკუატანი, რომლის მცხოვრებნი ჰოლანდიელნიც სიხარულით მიეგებნენ ბურებსაო.

**პარიზი.** პალატა. წინადადება ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ, ვალდეკ-რუსსოს მოთხოვნილებით, პალატამ 328 ხმის უმეტესობით 128 ხმის წინააღმდეგ უარჰყო.

**ლონდონი.** მარკიზ სალისბიური სრულიად განიკურნა.

ფრეის ბანაკიდგან დეპეშით იუწყებიან, ლედი-სმიტიდგან გამოგზავნილმა კაცმა ამბავი მოიტანა, რომ იქ მშვიდობიანობაა. თუმცა ბურები ყუმბარებს ესვრიან ქალაქს, მაგრამ ვნებას ვერაფერს აყენებენო.

**მოდდერ-რივერი.** როგორც კიმბერლეიდგან იუწყებიან, ამ ქალაქში საქმე ჯერ კარგად არის. ამბობენ, რომ კიმბერლეიში საკმაოდ მოიპოვება ყოველგვარი სურსათი 26 ნოემბრიდგან ქალაქისთვის ყუმბარები აღარ უსრോლიათ, მდინარეში იპოვნეს მოწინააღმდეგეთა მრავალი გვამი, რის გამო ინგლისის ჯარის ბანაკი ჩრდილოეთით იქმნა გაწეული.

**ლონდონი.** „Dailu Febq“-ს [illegible] პიტერმარიცბურგიდგან ატყობინებენ, რომ 23 ნოემბერს გენერალი ბულლიერი შტაბით ფრერში წავიდაო.

**პრეტორია.** დორდრეხტი ორანჟეს რესპუბლიკის ნაწილად იქმნა გამოცხადებული.

კოლენზოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მდ. ტუგელზედ ხიდი სრულიად დაქცეულ იქმნა: იმის აღდგენა მეტად ძნელი იქმნებაო.

**ლონდონი.** გაზეთ „Times“-ში გამოქვეყნებულია ლედი-სმიტიდგან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ამ ქალაქს დღითი-დღე გაჭირვება ადგებაო. ყუმბარები დიდ ვნებას აყენებენ; ქალაქში მყოფთ დღიური საკვები დაუკლესო.

მოდდერ რივერიდგან ატყობინებენ „Times“-ს, რომ ნატალიდგან 3,000 ბური მოვიდა და კრონიეს ჯარს შეუერთდაო. შემდეგ, ბურების ის ჯარი, რაც მეფკინგთან იდგა, კიმბერლეისთან იყო, ბურებს შეუერთდა. როგორცა სჩანს, ორივე მეომარი მხარი ჯარს თავს უყრის საბრძოლოდ, რომელიც უთუოდ სპეიტფონტენთან მოხდება.

**ლონდონი.** ოფიციალურის ცნობებით. პოლკოვნიკი კეკევიჩი იუწყება, რომ კიმბერლეისთან ბურების რიცხვი თან და თან მატულობსო. 13 ნოემბერს კიმბერლეისთან მომხდარ ბრძოლაში ინგლისელების მხრივ მოკლულ იქმნა 5 კაცი და დაჭრილი სამი აფიცერი და 21 ჯარის-კაციო.

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ხსენებულ გამგეობის თანადასწრებით 28 მარტს 1900 წელს მოხდება ვაჭრობა საქალაქო შენობის, (უწინდელის აბესალომოვის სავაჭრო შენობისა) ერთად და მიწით, რომელიც არის ზომით 203 კვადრატი საჟენი და იმყოფება დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ პარკის მახლობლად ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად ისე დაბეჭდილის კონვერტებითაც. ამ შენობასთან გაიყიდება აგრეთვე მთელი სამრავი ქონება, რაც ამ შენობაში იმყოფება. ეს ქონება არის: მებელი და ჭურჭელი ყოველნაირი სტოლოვოისა, კუხნისა და აგრეთვე ჩაისა. ეს მიწები ეკუთვნის შენობას იმ წესის და კანოს ძალით, როგორც სხვა სავაჭრო შენობები სარგებლობენ მიწებით. ეს წესი და კანონი დამტკიცებულია კავკასიის ნამესტნიკისაგან 22 დეკემბერს 1851 წელს

მსურველთ, ვისაც ამ მამულის შეძენა უნდათ, შეუძლიანთ საქმეები გაშინჯონ გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღეს გარდა სადღესასწაულო და უქმე დღეებისა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება დილის 12 საათამდის 28 მარტის, 1900 წლისა. კონვერტებში უნდა აღნიშნული იყოს სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმ პირისა, რომელსაც სურს ამ მამულის შეძენა. კონვერტში უნდა იდოს ზალოგათ 2,000 მანეთი, უნდა აშკარად იყოს გამოცხადებული რამდენს იძლევა ფასს ამ შენობაში: იმ პირთ, რომელნიც ქ. ტფილისში არა სცხოვრობენ, შეუძლიანთ გასაჩინჯათ საქმის მოთხოვნა, რომელიც მაშინვე გაეგზავნება.

(5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Ноября 1899 г. სტ. („ცნ. ფურ.“) ე. ქუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი გ. ყ[illegible]